სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/85

ქ. თბილისი 26 მარტი 2018

სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა და სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტებზე პროფესორების მოწვევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულეტის დეკანის, პროფ. ივ. ჯაგოდნიშვილის მოხსენებითი ბარათის, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ირ. გაბისონიას მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 მარტის №4 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა და სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტებზე, სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციის და ინტერდისციპლინური თანამედროვე მიდგომების დანერგვის მიზნით, ა/წ 1-ელი მარტიდან, სამი წლის ვადით, 2020 წლის 1-ელ მარტამდე მოწვეულ იქნენ:
   - საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე იოჰანეს ვაისი პროფესორის თანამდებობაზე

500-საათიანი დატვირთვით, არნდ პოლმანი პროფესორის თანამდებობაზე 500-საათიანი დატვირთვით, მატტი რაუდიარვუ პროფესორის თანამდებობაზე 500-საათიანი დატვირთვით;

- სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე ელიკო წიკლაური-ლამიხი პროფესორის თანამდებობაზე 500-საათიანი დატვირთვით, მაგდებურგის უნივერსიტეტის პროფესორი გეორგ ლოჰმანი პროფესორის თანამდებობაზე 400-საათიანი დატვირთვით;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**